პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 18 იანვარი, 1952 წ. № 15 (9175). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

დიადი იდეური საგანძური—„პრავდის“ 17-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

მზადება ლენინის დღეებისათვის (1-ლი გვერდი).

დიდი არხის ტრასზე (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებს (მე-2 გვერდი).

გ. მარიამიძე — ბოლშევიკების პარტიის კონფერენციის 40 წლისთავი (მე-2 და მე-3 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა—გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში (მე-2 გვერდი).

ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—**დროვრად შედგენილი ბიბლიოთეკა** (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დიადი იდეური საგანძური

ხაბჭოთა კავშირის ხალხები აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, ხელმძღვანელობენ რა დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეები გვიანათებენ წინსვლის გზას, საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნით აიარაღებენ კადრებს, შესაძლებლობას აძლევენ მშრომელებს შეგნებულად აშენონ მომავალი.

„მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ის არის, რომ იგი ეხმარება მოწინავე თეორიას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, აჰყავს თეორია მის უმაღლეს სიმაღლეზე და თავის მოვალეობად თვლის ბოლომდე გამოიყენოს მისი დამრაზმავი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა“.

ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა, საბჭოთა ადამიანების მთელი ცხოვრება ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ხისწორესა და უდიდეს გარდამქმნელ ძალას. ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელსაც შეგნებული აქვს მოწინავე თეორიის მნიშვნელობა, უზრუნველყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ფართოდ გავრცელება მასებში.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა, რომ მრავალრიცხოვანი კადრები და მშრომელთა უფართოესი მასები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი მასშტაბით მოაწყო მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომების გამოცემა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი ჩვენს ქვეყანაში გამოიცა სსრ კავშირის ყველა ხალხის ენებზე 889 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები მილიონობით მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის კუთვნილება, მათი შთაგონებული შემოქმედების წყარო გახდა. ახლი მშრომელებს უნერგავენ მაღალ კომუნისტურ შეგნებას, აყალიბებენ საბჭოთა ადამიანების მსოფლმხედველობას.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენაა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოშვება. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემა, როგორც ცნობილია, უკვე დამთავრდა. გამოცემულია ამხანაგ სტალინის თხზულებათა ცამეტი ტომი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში ყველაზე სრულად არის განხორციელებული ამხანაგ სტალინის მითითება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1923 წელს მოგვცა სპეციალურ მიმართვაში ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭირო იყო გულდასმით შეგვეკრიბა და პარტიისა და ხალხის კუთვნილებად გვექცია ლენინის ყველა ნაწარმოები, ყველა არსებული დოკუმენტი და მასალა, რომლებიც ახასიათებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობას ბოლშევიკური პარტიის შექმნის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის, პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

ამხანაგ სტალინის თეორიულ ნაშრომებში განზოგადებულია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება. ამხანაგ სტალინის შრომებში გენიალურად განვითარებული და ახალი გამოცდილებით გამდიდრებულია მარქსისტულ-ლენინური თეორია.

პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება უდიდესი პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობის ამოცანა—სსრ კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე ითარგმნება ვ. ი. ლენინის თხზულებანი და ი. ბ. სტალინის თხზულებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკებში ფართოდ გააჩაღეს მუშაობა ვ. ი. ლენინის თხზულებათა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა თარგმნისა და გამოცემისათვის. ამ პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად არის მიმართული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალების, რესპუბლიკურ გამომცემლობათა ძალები.

უკრაინულ, ბელორუსულ და ლატვიურ ენებზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდათხუთმეტიანი ტომი. ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა მთავრდება სსრ კავშირის ხალხთა ბევრ სხვა ენაზეც. მეტწილ მოკავშირე რესპუბლიკებში გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა ცამეტი ტომი. სხვადასხვა ერის მილიონობით მშრომელი თავის დედაენაზე კითხულობს და სწავლობს ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაწარმოებებს.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ფართო გამოცემა ემსახურება კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი იდეური იარაღით ჩვენი კადრების, ყველა მშრომელის შეიარაღების საქმეს. ვ. ი. ლენინის თხზულებათა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემის შემდეგ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ მეტი შესაძლებლობა ეძლევათ ბოლშევიკურად გამოაწრთონ კადრები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზარდონ ყველა მშრომელი. ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა შესწავლა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პარტიული მუშაობის შემდგომ აღმავლობაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდასა და ხალხის მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე თარგმანების მომზადებამ და გამოცემამ რესპუბლიკების პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვა დიდი ღონისძიებანი, ამ მუშაობის ზედმიწევნით მოფიქრებული და გულმოდგინე ორგანიზაცია, მისი განხორციელებისადმი ყოველდღიური კონტროლი. თხზულებათა გამოცემისათვის მუშაობაში ჩაბმული არიან მარქსისტულად ყველაზე მომზადებული კადრები, მაღალკვალიფიციური მთარგმნელები, გამომცემლობათა და სტამბების საუკეთესო ძალები. ამრიგად შექმნილია ყველა პირობა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, ცალკეულ რესპუბლიკებში პარტიულმა ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს საქმის მთელი სირთულე და საკმაოდ კარგად ვერ მოაწყეს იგი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების გამოცემა უპირველესი მნიშვნელობის საქმეა, რომელიც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული ორგანოების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანოები, რომლებიც ზრუნავენ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოშვებისათვის, ამტკიცებენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოცემის პერსპექტივულ გეგმებს, ახორციელებენ მუდმივ კონტროლს ამ გეგმების შესრულებისადმი.

პარტიულმა ორგანოებმა ადგილებზე საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ადგილობრივი პრესა დროზე აწვდიდეს მშრომელებს ინფორმაციას ვ. ი. ლენინის თხზულებათა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ყოველი ტომის გამოსვლის შესახებ, აქვეყნებდეს კვალიფიციურ რეფერატებს თხზულებათა მორიგ ტომებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაწარმოებებზე.

ვ. ი. ლენინის თხზულებანი და ი. ბ. სტალინის თხზულებანი ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ პარტიულ კადრებსა და საბჭოთა ინტელიგენციას ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლაში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონთა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დაუფლებაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყველა ქვეყნის მშრომელთა დიადი მოძღვრებაა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები დიდად გავრცელდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ამ ქვეყნების ხალხებს უჩვენებენ წინსვლის გზას, აღაფრთოვანებენ მათ ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის საბრძოლველად.

მარქსისტულ-ლენინური თეორია კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და მშრომელთა ძლიერი იდეური იარაღია მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ლენინისა და სტალინის გენიალური ნაწარმოებნი მშრომელთა დიადი იდეური საგანძურია. ლენინის და სტალინის იდეებზე, მათს ნაწარმოებებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან კომუნიზმისათვის მილიონობით მებრძოლნი.

„პრავდის“ 17/I მოწინავე

ვ. ი. ლენინი სმოლნაში ოქტომბრის დღეებში.

მ. სოკოლოვის სურათიდან (ვ. ი. ლენინის მუზეუმი).

მზადება ლენინის დღეებისათვის

★ ★ ★

ვ. ი. ლენინის სამშობლოში

ულიანოვსკი, 16 იანვარი. (საკადესი). ყოველდღე ასობით მშრომელი ათვალიერებს ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმს და მის გვერდით მდებარე ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალს. მხახველები ეცნობიან იმ სახლის მოწყობილობას, რომელშიც ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი 1887 წლამდე, სწავლობენ ცენტრალური მუზეუმის ფილიალის მრავალ ექსპონატს, ისმენენ ლექციებს.

ულიანოვსკში სახლ-მუზეუმის, ხოლო უფრო გვიან ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალის გახსნის დღიდან ისინი ინახულა ერთ მილიონზე მეტმა კაცმა. მარტო ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის მნახველთა ჩანაწერებმა 13 ტომი შეადგინა. ეს არის გენიალური ბელადის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინისადმი ხალხთა სიყვარულის მატიანე.

„ჩვენ გულწრფელად მადლობელი ვართ ჩვენი მთავრობისა იმისათვის, რომ ულიანოვსკში გახსნილია ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი“, — ჩაწერა მუზეუმში მისულმა მუშათა ჯგუფმა.

„ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს ბედნიერების სწორი გზა, წმიდად შევასრულებთ ლენინის ანდერძს, განვამტკიცებთ სოფლის კოლექტივიზაციის საქმეს“, — ჩაწერეს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

„თავდადებით ვიშრომებო სტალინის ხელმძღვანელობით, შევქმნით ჩვენს სოციალისტურ ინდუსტრიას“, — გვეუბნება ბევრი მნახველის ჩანაწერი პირველი სტალინური ხუთწლედების წლებში.

„ისე მოვსპობთ მტერს, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის სტალინი“, — ასეთია ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის მნახველთა ჩანაწერები დიდი სამამულო ომის წლებში.

1952 წლის იანვარში ჩაწერილია: „სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი წმიდად ასრულებს ლენინის ანდერძს — აშენებს კომუნიზმს ჩვენს ქვეყანაში“.

ავღაბრის ყოფილ არაღეგაღურ ბოლშევიკურ სტამბაში

ლენინის დღეების მოახლოებასთან დაკავშირებით საგრძნობლად იმატა ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის დამთვალიერებელთა რიცხვმა. სტამბის დასათვალიერებლად ორგანიზებულად მოდიან დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები. ისინი გულდასმით ეცნობიან სტამბის მოწყობილობას, დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ ლენინის დიადი საქმის გენიალური განმგრძობის ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

სტამბა დაათვალიერეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშებმა და მოსამსახურეებმა, ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელებმა, სახელმწიფო გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფმა, თბილისის ნახიმოვის სასწავლებლის კურსანტებმა და სხვ. მარტო უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში სტამბაში 1.300-მდე ექსკურსანტი იყო.

ექსკურსიები ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს თბილისის საექსკურსიო ბაზამ ამ ბოლო დროს გააძლიერა მუშაობა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების დაკვეთით ექსკურსიების მოსაწყობად. ექსკურსიები ეწყობა თბილისის იმ ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ეწყობა ლენინის დღეების ალსანიშნავად. უკანასკნელ რამდენიმე დღეში ბაზამ მომსახურება გაუწია დედაქალაქის 400-მდე ექსკურსანტს.

ქუთაისის საწარმო-დაწესებულებებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში ფართოდ გაჩაღდა მზადება ლენინის დღეებისათვის. საწარმო-დაწესებულებებში, ახალმშენებლობებსა და სასწავლებლებში ეწყობა ლექცია-საუბრები, კონსულტაციები, გაბოფენები.

საავტომობილო ქარხნის საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნებმა და აგიტსემინარების ხელმძღვანელებმა აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს საფუძვლიანად განუმარტეს ლენინის დღეების მოახლოებასთან დაკავშირებით სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები. ამ უკანასკნელ დღეებში ასზე მეტმა აგიტატორმა და პროპაგანდისტმა რამდენიმე საუბარი მიუძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

აბრეშუმკომბინატში მომხსენებელთა ჯგუფის წევრებმა უკვე მოამზადეს ლექციები საამქროებში წასაკითხავად. საწარმოს პარტკაბინეტში მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის ეწყობა კონსულტაციები.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება საწარმო-დაწესებულებებში აწყობს ლექციების ციკლს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში მრავალი ღონისძიება ხორციელდება ლენინის დღეების ალსანიშნავად. სისტემატურად იმართება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები; დაიწყეს ლექციების კითხვა თემებზე: „ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“, „ლენინი — სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი“, „ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობა“ და სხვ. პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში მოეწყო ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენები მოეწყო აგრეთვე სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, კულტურის სახლში, კლუბებსა და საქალაქო ბიბლიოთეკაში.

დიდი არხის ტრასზე

აშხაბადი, 16 იანვარი. (საკადესი). თურქმენეთის მთავარი არხის ტრასიდან დაბრუნდა რესპუბლიკური გეოლოგიური სამმართველოს უფროსი ლ. ნ. სმირნოვი. საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. სმირნოვმა განაცხადა:

— თურქმენეთის მთავარი არხის სამხრეთის, ცენტრალური და ჩრდილოეთის პარტიებმა გასულ წელს ყველა დავალება შეასრულეს. 1952 წელს ტრასზე საძიებო სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად გადიდდება. საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევის განგრძობასთან ერთად არხის ტრასზე უნდა შესრულდეს ბევრი ძიება მომავალ - სარწყავ მიწებზე ჩრდილოეთით და სამხრეთით, მოეწყოს წყაროების ძიება ჰიდროკვანძების აგების რაიონებში და ტრასის სხვა უბნებზე, მოიძებნოს და სამრეწველო ექსპლოატაციისათვის მომზადდეს ადგილობრივი საშენი მასალების მარაგი.

განსაკუთრებით რთული ამოცანაა არხის მშენებლობის მომარაგება მტკნარი წყლით. თურქმენეთის მთავარი არხის ტრასის ძირითადი ნაწილი ყარაყუმის უწყლო ადგილებში გადის. უდაბნოს დასავლეთ ნაწილსა და ცენტრში იშვიათ ჭებს, სადაც სასმელი წყალი მცირეა, არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ მშენებელთა მოთხოვნილება. ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა მოვძებნოთ წყაროები და გადავჭრათ მთელ ტრასზე წყალმომარაგების პრობლემა. ამ მიზნით იანვარში უკვე დამთავრდა პირველი ჭაბურღილი ყაზანჯიკის რაიონში. მიღებულია კარგი შედეგი. აქ კიდევ ეწყობა ჭაბურღილები მტკნარი წყლის მისაღებად. ყარა-ყუმში უკვე არსებული მტკნარი წყლის ჭების გარშემო ახალ ჭებს ამოვთხრით. ამავე დროს დავიწყებთ ორი ღრმა საცდელი ჭაბურღილის ამოთხრას. ღრმა ჭაბურღილების გათხრა წყლის მისაღებად პირველად ხდება უდაბნოში. გადაწყვეტილია, გაზაფხულზე არხის ტრასის რვა პუნქტში შეგროვდეს ატმოსფერული ნალექები თიხის მოედნებზე — თაქირებზე. აქედან ნალექები ჩავა საწრეტ ჭებში, რომელთა მშენებლობაც ახლო მომავალში დაიწყება.

არხის ასაგებად საჭირო იქნება ადგილობრივი საშენი მასალების უდიდესი რაოდენობა. არხის ტრასის მახლობელ რაიონებში ნაპოვნია გრანიტის, ხრეშის, კირქვისა და ქვიშის დიდი მარაგი. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სავსებით დაკმაყოფილდება არხის მშენებელთა მოთხოვნილება ადგილობრივი მასალების მხრივ.

ყარა-ყუმში შენდება დაბები. იასხანის ტბასთან ამას წინათ აშენდა კლუბი, სამკითხველო, კანტორა, ეწყობა საავადმყოფო. ფართოვდება დაბა ბალაიშმის ჭის მახლობლად, რომელიც შუაგულ უდაბნოში მდებარეობს.

საბჭოთა ხალხის ყოველდღიური დახმარებით აღფრთოვანებული მძიებელთა კოლექტივი ყოველივეს გააკეთებს 1952 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

ლენინის დღეებისათვის მზადება ბულგარეთში

სოფია. (საკადესი). ბულგარეთში დაიწყო მზადება ლენინის დღეებისათვის.

საწარმოებში და ახალმშენებლობებზე, შრომითს კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობებში, ინსტიტუტებსა და სკოლებში იმართება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის—ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექციები და მოხსენებები. სახალხო სამკითხველოთა კავშირთან არსებული ცენტრალური ლექტორთა ჯგუფი კვალიფიციურ მომხსენებლებს გზავნის საოლქო და საოკოლიო ცენტრებში ლენინის შესახებ ლექციების წასაკითხავად.

ლენინის დღეებთან დაკავშირებით კინოთეატრების ეკრანებზე დაიწყო ჩვენება მხატვრული და დოკუმენტალურ-ქრონიკალური ფილმებისა „ლენინი 1918 წელს“, „თოფიანი კაცი“, „ლენინი“ და სხვ.

წარმატებიანი განათლების დარგში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში

ბუდაპეშტი. 16 იანვარი. (საკადესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენს სახალხო განათლებისათვის. შარშან განათლების საჭიროებისათვის დაიხარჯა 250 მილიონ ფორინტზე მეტი.

უნგრეთში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასწავლებელთა ქსელი და გადიდდა მოსწავლეთა რიცხვი. 1937-38 სასწავლო წელს უნგრეთში 12 უმაღლესი სასწავლებელი იყო, სადაც მხოლოდ 11.700 კაცი სწავლობდა. მიმდინარე სასწავლო წელს 21 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 40.000-მდე სტუდენტი სწავლობს. ბუერეუფაზეული უნგრეთში საღამოს უნივერსიტეტები საერთოდ არ არსებობდა, წელს კი ამ უნივერსიტეტებში მსმენელთა რიცხვი გასული სასწავლო წლის 5.380-დან 7.350-მდე გადიდდა. 1937-38 სასწავლო წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი.

შეიცვალა მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა. უნგრეთის განთავისუფლებამდე უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების მხოლოდ 1-2 პროცენტს შეადგენდნენ მუშებისა და გლეხების შვილები, საშუალო სკოლებში კი — 5-6 პროცენტს. ამჟამად უნგრეთის უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეების 60 პროცენტი მშრომელთა შვილებია. საშუალო სკოლებში ისინი 70 პროცენტს შეადგენენ.

უნგრეთში გადაჭრით იბრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

რუსული ენის წესწავლა ბულგარეთში

სოფია. (საკადესი). ბულგარეთში ფართოდ გაჩაღდა მასობრივი მოძრაობა რუსული ენის შესწავლისათვის. ამჟამად ბულგარეთის სოფლებსა და ქალაქებში მუშაობს 4 ათასზე მეტი კურსები, სადაც რუსულ ენას სწავლობს 90 ათასამდე კაცი. ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირმა შარშან 100 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით გამოსცა სახელმძღვანელო რუსული ენის შესწავლის დაწყებითათვის, 30-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა სახელმძღვანელო იმ პირთათვის, რომელთაც სურთ გაიუმჯობესონ თავიანთი ცოდნა რუსულ ენაში.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხდომა

პრაღა, 16 იანვარი. (საკადესი). გუშინ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მორიგი სხდომა. პრემიერ-მინისტრ ანტონინ ზაპოტოცკის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მოსამზადებელი მთავრობის კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია პროფესორი ლადისლავ შტოლი.

სკოლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მინისტრის ზდენეკ ნეედლისა და ინფორმაციისა და კულტურის მინისტრის ვაცლავ კოპეცკის წინადადებით მთავრობამ მიიღო დადგენილება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრაღის კონფერენციის 40 წლისთავთან დაკავშირებით პრაღის სახალხო სახლში ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნის შესახებ. შეიქმნა მუზეუმის საბჭო სკოლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მინისტრის ზდენეკ ნეედლის მეთაურობით.

მთავრობამ დამტკიცა შეთანხმება ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ 1952-1955 წლებისათვის.

პოლონეთში მატულობს მტს-ების რიცხვი

ვარშავა. (საკადესი). პოლონეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. გასული წლის დამლევისათვის პოლონეთში 260 მტს-ი იყო. მათს სატრაქტორო პარკში არის 9.680 ტრაქტორი. მტს-ების მიერ შარშან შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა რბილ ხვნაზე გადაყვანით ორ მილიონ ჰექტარს აღწევს.

მომდინარე წლის დამლევისათვის პოლონეთში 335 მტს-ი იქნება, ხოლო მათი სატრაქტორო პარკი 38,5 პროცენტით გადიდდება. მტს-ები მიიღებენ აგრეთვე 6 ათასზე მეტ ახალ სატრაქტორო გუთანს და ბევრ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას. ყოველივე ამით შესაძლებელი გახდება მომდინარე წელს მტს-ების სამუშაოთა მოცულობის თითქმის ერთიორად გადიდება.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

16 იანვარს გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის ორიგი პლენარული სხდომა. განხილულ იქნა ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის ნაწარმოებები. კომიტეტის წევრებმა დაათვალიერეს 1951 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა.

საინფორმაციო მოხსენებანი გააკეთეს დ. შმარინოვმა, ვ. ჟემნოვმა, ბ. იოგანსონმა, რომლებმაც დაახასიათეს 1951 წლის სტალინური პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი.

ნამუშევართა თემატიკა მრავალფეროვანია. მათ შორის არის ფერწერის დიდი ტილოები, გრაფიკული ნახატები, პლაკატები, სკულპტურული პორტრეტები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების შრომითს გმირობას, მათს აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის. წარმოდგენილია აგრეთვე რუსული ჟანრის ფერწერის გამოჩენილი მოღვაწეებისათვის აგებული მონუმენტალური სკულპტურული ძეგლები. (საკადესი).

მოგებათა ფირაქი

20 იანვარს გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო ლატარეა. გათამაშდება 520.116.400 მანეთის 1.949.250 მოგება. მათ შორის: ორმოცდაათიათასმანეთიანი 226, ოცდათიათასმანეთიანი 452, ათიათასმანეთიანი 1.130, ხუთიათასმანეთიანი 2.260, ათასმანეთიანი 22.600, ხუთასმანეთიანი 226.000 და ორასმანეთიანი 1.696.582 მოგება.

ტირაჟი გაიმართება ქალაქ კოსტრომაში. (საკადესი).

პარტიული ცხოვრება

ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებს

პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წლის დაწყების წინ ქალაქ სტალინირის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ბევრმა კომუნისტმა და უპარტიო აქტივისტმა გამოთქვა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი. შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფები. დაიწყო სწავლა. მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების მუშაობის პირველი შედეგების გაცნობა ცხადყოფს, რომ ქალაქის ცალკეული პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან პოლიტიკური თვითგანათლების კარგად მოწყობის საქმეს. ასეა, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის პირველად პარტორგანიზაციაში.

იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის განუწყვეტელი მუშაობა კომუნისტის საწესდებო მოვალეობაა. ამ სერიოზული მოვალეობის შესრულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება პარტორგანიზაციაში გაერთიანებული კომუნისტების ერთი ნაწილი. ასეთთა რიცხვშია საოლქო სამომხმარებლო კავშირის დამამზადებელი კანტორის დირექტორი კომუნისტი ე. ძაგოევი. მან სასწავლო წლის დასაწყისში განაცხადა, რომ ბოლშევიკური პარტიის ისტორიას დამოუკიდებლად შეისწავლიდა მის სურვილს და შესაძლებლობას ანგარიში გაუწიეს. ამჯ. ძაგოევმა შეადგინა წიგნზე მუშაობის ინდივიდუალური გეგმა და ამით დაამთავრა ყველაფერი. ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე მას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა არც ერთი ნაწარმოები არ შეუსწავლია, ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია თავისი პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის. პარტბიუროს მდივანმა ნ. შავლოხოვმა, იმის ნაცვლად, რომ კომუნისტს აგრძნობინოს პასუხისმგებლობა, ასე განაცხადა:

— ძაგოევი მეტწილად მივლინებაშია. დრო მცირე რჩება საკუთარ თავზე მუშაობისათვისო.

პარტბიუროს მდივნის ასეთი განწყობილება იმას იწვევს, რომ ბევრი კომუნისტი ფორმალურად ირიცხება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში და ფაქტიურად არაფერს აკეთებს. ასე იქცევა კომუნისტი პ. კობალაძე. მას ჯერ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გეგმაც არ შეუდგენია. ასევე იქცევა სამომხმარებლო კავშირის მთავარი ბუხჰალტერი ს. ლორთქიფანიძე.

პარტბიუროსა და მისი მდივნისათვის კარგა ხანია ცნობილია ეს მდგომარეობა, მაგრამ პარტორგანიზაციას არ დაუსახავს მკვეთრი ღონისძიებანი მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

თვით პარტბიუროს მდივანი ნ. შავლოხოვიც ვერ იძლევა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მუშაობის მაგალითს. მან გვიჩვენა გასულ სასწავლო წელს შედგენილი კონსპექტები და დასძინა, რომ მიმდინარე სასწავლო წელსაც იმავე ნაშრომებს სწავლობს, რომლებსაც გასულ წელს სწავლობდა და ამიტომ კონსპექტს აღარ ადგენს. ძველი კონსპექტები კი უსისტემოდ და ნაჩქარევად არის შედგენილი. მაგალითად, მარქსისა და ენგელსის გენიალური ნაშრომის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ კონსპექტი რვეულის ერთ ფურცელზეა მოთავსებული.

ყოველივე ეს ცნობილია პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისათვის, მაგრამ კონკრეტული დახმარების ნაცვლად განყოფილება მხოლოდ მითითებას იძლევა — გააუმჯობესეთ მუშაობაო.

მუშაობაში წარმატებისათვის მარტო სურვილები არ კმარა. პოლიტიკური თვითგანათლებისადმი ხელმძღვანელობა ენერგიული ღონისძიების განხორციელებას მოითხოვს.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს პარტორგანიზაციაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს პოლიტიკური თვითგანათლების საკითხს. ეს ჩანს მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების არადამაკმაყოფილებელი მუშაობიდან. სამმართველოს ტექნიკური კულტურების მთავარი აგრონომი კომუნისტი ლ. ბოსიკაშვილი არ იჩენს თანმიმდევრობას თეორიის შესწავლის საქმეში. მან განაცხადა, რომ დაიწყო „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესწავლა. მაგრამ მასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ იგი, მიუხედავად სწავლის უკიდურესად ნელი ტემპისა, განვლილ მასალაშიც ცუდად ერკვევა. ასევე სუსტად მუშაობენ პოლიტიკური ცოდნის შეძენისათვის სამმართველოს მთავარი ვეტექიმი კომუნისტი გ. გეგეშიძე, მეგოსტნე აგრონომი კომუნისტი თ. ჯაბნაშვილი.

საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრიათ საოლქო განათლების განყოფილების მუშაკებს. ამ განყოფილების პარტორგანიზაციის მოვალეობაა შეუნელებლად იმუშაოს იმისათვის, რომ კადრები განუწყვეტლივ სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს. საოლქო განათლების განყოფილების პარტორგანიზაციის ბიურომ, მისმა მდივანმა თ. ბეკოევმა ვერ უზრუნველყვეს კადრების პოლიტიკური თვითგანათლებისადმი უნარიანი ხელმძღვანელობა. პარტბიუროს მდივნის მოადგილე კონსულტანტი ელ. ცხოვრებოვა მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება საქმეს. მის საკონსულტაციო ჯგუფში გაერთიანებულია 9 კაცი. მათი უმრავლესობა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ინდივიდუალურ გეგმებს ვერ ასრულებს. ასეთებია საოლქო განათლების განყოფილების კადრების განყოფილების გამგე გ. ნამშურიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ნ. კიკნაძე და სხვ.

კონსულტანტ ელ. ცხოვრებოვას აქვს რეფერატების, თეორიული კონფერენციების მოწყობის გეგმა. ასეთი ღონისძიებების განხორციელება ძალიან კარგ შედეგებს გამოიღებდა. მაგრამ ეს გეგმა არ სრულდება.

პარტბიუროს მდივანი, საოლქო განათლების განყოფილების საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგე თ. ბეკოევიც ვერ იჩენს საჭირო ბეჯითობას პოლიტიკური ცოდნის შეძენის საქმეში. იგი ყოველწლიურად ერთსა და იმავე მასალას სწავლობს და იმეორებს პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მიხედვით, არ მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ძირითად წყაროებზე. ასეთი მაგალითები სხვაც არის.

პოლიტიკური თვითგანათლებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში სერიოზული როლი ეკისრება პარტიულ კაბინეტს. საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის პარტიული კაბინეტი არადამაკმაყოფილებლად არის დაკავშირებული წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან. არასაკმაოდ ეხმარება კონსულტანტებსაც. მართალია, პარტკაბინეტთან შექმნილია კონსულტანტთა სემინარი, რომელსაც პარტკაბინეტის გამგე ხ. ბეკოევი ხელმძღვანელობს და სემინარებზე იკითხება ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომების შესახებ, მაგრამ პარტკაბინეტი ივიწყებს ერთ-ერთ მთავარ საკითხს— მოწინავე კონსულტანტთა გამოცდილების შესწავლასა და პოპულარიზაციას. სემინარებზე მოწინავე კონსულტანტები არ გამოდიან ინფორმაციით, თუ როგორ ეხმარებიან თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების განმტკიცებაში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კონსულტანტი, მათ შორის დ. სტეფანოვი, ი. ძაგნიძე, თ. ცხოვრებოვი და სხვები, სრულიად არ ესწრებიან სემინარის მეცადინეობას.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტმა, კერძოდ მისმა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ (გამგე ა. გოგინაშვილი) მკვეთრად უნდა გაუმჯობესოს პოლიტიკური თვითგანათლებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლოს პარტორგანიზაციებისა და კონსულტანტების აქტივობა კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი



თბილისი. 26 კომისრის სახელობის ქარხნის ექსპერიმენტული საამქროს სტახანოველი ზეინკალი გიორგი ყველაშვილი მუშაობს ახალი დეტალის ათვისებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ახალი ამოცანების წინაშე

ზუგდიდის ტყესაცავი სადგურის კოლექტივმა შარშანდელ საუმუშაოთა გეგმები წარმატებით შეასრულა. აეაშენეთ მექანიკური სახელოსნო, მატერიალური საწყობი, სახერხი ქარხანა; წესრიგზე მოვიყვანეთ უბნებამდე მისასვლელი გზები. გადაჭარბებით არის შესრულებული ევკალიპტის, წიწვოვანების, კანადის ვერხვის, კაუჩუკის ხის და ტყესაცავი ზოლისათვის გათვალისწინებული სხვა მცენარეების რგვის დაბალნები. გეგმის გადამეტებით გავაშენეთ 50 ათასამდე ძირი ხე. ნარგავები ყველგან კარგად არის მოვლილი.

სადგურის მუშაობა წინაშე წელს ახალი ამოცანებია დასახული. გაზაფხულზე სოფელ შამგონიდან აბასთუმნამდე 18 კილომეტრზე გათვალისწინებული გვაქვს ახალი ტყესაცავი ზოლის გაშენება. ამისათვის ნიადაგის მომზადება დროზე დავამთავრეთ. ვადაზე და მაღალხარისხოვნად ვასრულებთ ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატისათვის ნედლეულის ბაზის შექმნის სამუშაოებს.

ტყესაცავ სადგურში მუშაობენ მოწინავე ადამიანები, რომლებიც დავალებებს ორმაგად ასრულებენ. მათ შორის არიან უბნის მექანიკოსი ივანე ბურდუკი, ტრაქტორისტები გიორგი ბეინავა, მიხეილ ბაგათელია, ივანე კოვაჩენკო და სხვები.

სადგური უზრუნველყოფილი არ არის საჭირო რაოდენობის ავტომანქანებით. 17-ის ნაცვლად მხოლოდ 6 ავტომანქანა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანებით სადგურის უზრუნველყოფის საკითხი არაერთგზის დავაყენეთ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინაშე, დღემდე შედეგი არა ჩანს. საჭიროა სამინისტრო დაგვეხმაროს ამ საკითხის მოგვარებაში.

წელს ზუგდიდის ტყესაცავი სადგურის კეთილმოწყობა საგრძნობლად უმჯობესდება. აშენდება აბანო, მოეწყობა საავტო კოსკი, გავიყვანთ წყალსადენს, გაფართოვდება რადიოქსელი. სადგურის კოლექტივი მთელი ენერგიით იმუშავებს ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმით ჩვენთვის დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

დ. კანდელაკი

ზუგდიდის ტყესაცავი სადგურის დირექტორი

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისა და ფერმებში

კოლმეურნეობებში 1951 წლის ანგარიშების, 1952 წლის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის ხელშეკრულებათა დადება, მექანიზატორებისა და მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება-გადამზადება, ტრაქტორების, კომბაინების და სხვა მანქანების შეკეთება, მაღალხარისხოვანი თესლის მომზადება, პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება,—აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც კოლმეურნეობებში ზამთრის პერიოდში უნდა განხორციელდეს. ამ ამოცანების შესრულება წყვეტს საგაზაფხულო თესვის წარმატების ბედს.

მართალია, წალკის რაიონში ამ მხრივ გაწეულია მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. არადამაკმაყოფილებელ პირობებში უხდება მუშაობა წალკის მტს-ის კოლექტივს (დირექტორი გ. მჟავანაძე). ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები მინდვრად თოვლში ჰყრია, მტს-ის ეზო და საწვავსაცხები ბაზის ტერიტორია შემოუკავებელია. ზამთრის სუსხსა და ყინვაში ტრაქტორების რემონტს მინდვრად აწარმოებენ. აქვთ ერთი პატარა სახელოსნო, სადაც მხოლოდ 2 ტრაქტორის დაყენება შეიძლება.

მტს-ის დირექცია უგეგმოდ შეუდგა ტრაქტორების შეკეთებას. პირველი ნახევარში იმით დაკმაყოფილდნენ, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალში ქაღალდი დახაზეს, ჩაწერეს ტრაქტორის რემონტის დაწყებისა და დამთავრების დრო. ამას აქ სამუშაო გრაფიკს უწოდებენ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გრაფიკი კი სულ არ შეუდგენიათ. როგორც აცხადებენ, 37 ტრაქტორიდან შეკეთებულია 20. კომისიამ მთელ რიგ ტრაქტორებზე აქტები ზერელედ შეადგინა. ზოგიერთ მათგანზე კომისიის თავმჯდომარე ხელს არ აწერს, აღნიშნული არ არის რა დეფექტები აღმოჩნდა და, რაც მთავარია, როგორია შეკეთების ხარისხი.

მეოთხე კვარტალში 14 ტრაქტორის გუთნის ნაცვლად შეაკეთეს 9, „ტომუნარის“ მარკის 3 კომბაინის ნაცვლად — 2, ისიც წესიერად არ არის შემოწმებული და თოვლში და წვიმაში დგას. რემონტზე მომუშავეებს ხელს არ უწყობენ. მათთვის თბილი ტანსაცმლის მიცემაც ვერ მოახერხეს. წალკის კოოპერაციამ 7 იანვარს გაუგზავნა 40 წყვილი ფეხსაცმელი, ისიც მხოლოდ 36 და 37 ნომრები. ცხადია, ეს ფეხსაცმელები არავის არ გამოუყენებია. რემონტის წარმატებას ხელს უშლის აგრეთვე საჭირო ნაწილების უქონლობა. მასალების უქონლობის გამო სამჭედლო და სახარატო საამქროები 6 და 7 იანვარს არ მუშაობდნენ.

წელს წალკის მტს-მა უნდა შეასრულოს სამუშაოები 17.000 ჰექტარზე, მარტო საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესოს 4.000 ჰექტარი, ასევე გადიდებულია მზრალად ხვნის დავალება. ამ ამოცანებს მტს-ი ვერ შეასრულებს, თუ არ გაუმჯობესდა ტრაქტორების რემონტის საქმე, თუ კონკრეტული დახმარება და ხელმძღვანელობა არ გაუწია მტს-ს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველომ.

მეორე სერიოზული ნაკლი, რომელიც წალკის რაიონის კოლმეურნეობებში არის საგრძნობი, ეს არის ადგილობრივი კადრების აღზრდისა და დაკომპლექტების უგულებელყოფა. წალკაში მეცხოველეობა საკმაოდ არის განვითარებული, ამიტომ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის მრავალი სპეციალისტი-სჭირდება. ამ მხრივ აქ მრავალი ნაკლია. წალკის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას შტატით უნდა ჰყავდეს 19 ზოოტექნიკოსი, სინამდვილეში ჰყავს მხოლოდ 4. აკლიათ უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები, ანგარიშწარმოების გამოცდილი მუშაკები. ავრალის ახალ მტს-ში უმაღლესი განათლების მქონე 5 აგრონომი უნდა იყოს, არის 2.

როგორც რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ისე სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჭირო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში სასუქების გამოყენებას. შეუწყნარებელია, რომ გეგმით გათვალისწინებული 2.654 ტონა მინერალური სასუქის ნაცვლად დღემდე შემოზიდულია მხოლოდ 800 ტონა. ამ ღონისძიებათა გამოუყენებლობითაც აიხსნება, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლიანობა დაბალია. ბევრგან მოუწესრიგებელია შრომა.

წალკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. აიდინოვი) გასულ წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობის გეგმა არ შეასრულებია. ჰექტარზე მათ მხოლოდ 8 ტონა კარტოფილი მიიღეს. კოლმეურნეობამ 180 ტონა მინერალური სასუქის ნაცვლად 46 ტონა გადმოზიდა. წელს გაზაფხულზე 900 ჰექტარი მარცვლეული და 135 ჰექტარი კარტოფილი უნდა დათესონ. თესლი საკმაოდ აქვთ, მაგრამ თესლის შემოწმება და სრულ კონდიციამდე აყვანა ჭიანურდება. კოლმეურნეობაში პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის საჭირო კონცენტრირებული საკვები არა აქვთ. კოლმეურნეობაში ვხვდებით შრომის დათანაბრების ფაქტებს. ხშირად 10-12 კაცი ერთად მუშაობს. მათს ნამუშევარს ერთად აღრიცხავენ და შრომადღეებს თანაბრად უწერენ ყველას. ასე იყო გასული წლის 5 სექტემბერს, როცა ჰურის აღებაზე 11 კაცმა იმუშავა, ყველას თანაბრად დაუწერა 0,92 შრომადღე; შარშან 12 მაისს ხრეშის დაყრაზე მუშაობდა 17 კაცი, აღრიცხეს მთლიანი ნამუშევარი და თვითეულს დაუწერეს 1,25 შრომადღე.

ირღვევა საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპები. გზის მშენებლობაზე მეხუთე ბრიგადის 30 კაცმა იმუშავა. შეადგინეს უწყისი, რომელშიც ნაჩვენები არ არის, როდის და რამდენ ხანს, იმუშავეს. თვითეულს დაუწერა 1,25 შრომადღე. ამაზე არ უმსჯელია არც კოლმეურნეობის გამგერობას და არც საერთო კრებას. ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებსაც.

რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა გააძლიერონ წლიური ანგარიშების შედგენის ტემპი, საანგარიშო კრებებზე გამოავლინონ ნაკლოვანებანი და დასახონ ღონისძიებანი მიმდინარე წლის სამუშაოთა, განსაკუთრებით, საგაზაფხულო თესვის გეგმების აგროტექნიკურ ვადებში შესრულების უზრუნველსაყოფად. საჭიროა აქედანვე ყველა პირობა შეიქმნას წელს მთელ ნათეს ფართობებზე ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოსაყვანად.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ლექციები, საუბრები, გამოფენები

ჭიათურა. (საკ. კორ.). გაჩაღდა მზადება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28 წლისთავისათვის. მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები, საუბრები. ბიბლიოთეკებში და წითელ კუთხეებში მოეწყო ლენინის შრომების გამოფენა. ლენინის ცალკეულ შრომებზე ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ლექტორები.

კინოთეატრში ნაჩვენები იქნება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კინოფილმები. 21 იანვარს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო საღამო.

ლენინის ორდენოსანი სტახანოველები პ. ბოყოველი, პ. მირიტაძე, კ. ღავთაძე, ნ. ოთინაშვილი, ა. ზაბახიძე და სხვები ამ დღეებში მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებენ.

ბოლშევიკების პრაღის კონფერენციის 40 წლისთავი

40 წლის წინათ, 1912 წლის 18 იანვარს პრაღაში გაიხსნა რსდმ პარტიის VI კონფერენცია. ისტორიაში ეს კონფერენცია შევიდა „პრაღის კონფერენციის“ სახელწოდებით.

პრაღის კონფერენციას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში. როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია გვასწავლის, „ბოლშევიზმის ისტორიაში ბოლშევიკების პრაღის კონფერენცია წარმოადგენს მობრუნების პუნქტს, ვინაიდან მან გაფორმა მენშევიკებთან განხეთქილება, პარტიიდან განდევნა ლიკვიდატორ-მენშევიკები და დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“.

დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ძველი „ისკრის“ დროიდან დაწყებული მთელი რიგი წლების მანძილზე „ეკონომისტებთან“, მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, ოტზოვისტებთან და ყველა ჯურის იდეალისტებთან შეუპოვარ ბრძოლაში ამზადებდნენ ახალი ტიპის, მარქსისტულ-ლენინურ პარტიას. ამ მხრივ ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ლენინის მთელმა რიგმა გენიალურმა შრომებმა. ლენინის წიგნმა „რა ვაკეთოთ?“ ასეთი პარტია მოამზადა **იდეოლოგიურად**, წიგნმა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ასეთი პარტია მოამზადა **ორგანიზაციულად**, წიგნმა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ ასეთი პარტია მოამზადა **პოლიტიკურად**, ხოლო გენიალურმა ნაშრომმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — **თეორიულად** მოამზადა ასეთი პარტია.

მარქსისტულ-ლენინური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების მომზადებასა და განვითარებას მიუძღვნა დიდმა სტალინმა ისეთი გენიალური შრომები, როგორიც არის: „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ.

„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, — მკითხულობთ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — რომ ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა ისე საფუძვლიანად მომზადებული იმისათვის, რომ გაფორმებულიყო პარტიად, როგორც ბოლშევიკური ჯგუფი“ (გვ. 174).

პრაღის კონფერენციამ დააგვირგვინა ეს ისტორიული ამოცანა.

* * *

როგორი იყო კონკრეტულ-ისტორიული პირობები როცა ბოლშევიკების პრაღის კონფერენცია შეიკრიბა?

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და სტოლიპინის რეაქციამ მძიმე კვალი დაჩნია რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას. ამ პერიოდში მენშევიკები, მიუხედავად ბოლშევიკებთან ფორმალური ურთიერთობისა, დაადგნენ რევოლუციური პროგრამის პირდაპირი ღალატისა და პარტიის ლოზუნგებისა და დირექტივების უსირცხვილო დარღვევის გზას. ისინი მოითხოვდნენ არალეგალური მარქსისტული პარტიის ლიკვიდაციას და ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი დამოუკიდებელი პარტია, რეფორმისტული პარტია.

რევოლუციური მოძრაობისა და პარტიის განმტკიცების საქმეს დიდ ზიანს აყენებდნენ ოტზოვისტებიც, რომლებიც მოითხოვდნენ რევოლუციური ბრძოლის ლეგალურ საშუალებებზე ხელის აღებას, სახელმწიფო სათათბიროდან მუშათა დეპუტატების გამოწვევას. ისინი პარტიას უბიძგებდნენ მასებისაგან მოწყვეტის საშიშარ გზაზე და ამით აბრკოლებდნენ ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის ძალების მოკრებას.

ამავე პერიოდში საზიზღარ ანტიპარტიულ, გამთიშველურ მუშაობას ეწეოდა იუდა ტროცკი, რომელიც თვალთმაქცურად ეფარებოდა თავის ვითომდა „პარტიის ერთიანობის“ მისწრაფებებს. 1912 წელს ტროცკიმ ყველა ანტიბოლშევიკური ჯგუფი გაერთიანა ე. წ. „აგვისტოს ანტიპარტიულ ბლოკად“, რომელიც მიმართული იყო ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ.

„ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან ბრძოლამ, ისე როგორც ტროცკისტებთან ბრძოლამ, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ბოლშევიკების წინაშე დასახა საარსებო ამოცანა ერთ მთლიანად შეემჭიდროებინათ ყველა ბოლშევიკი და გაეფორმებინათ ისინი დამოუკიდებელ ბოლშევიკურ პარტიად“. (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 171-172). ამით ბოლო მოეღებოდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს პარტიაში, დაჩქარდებოდა მუშათა კლასის ძალების თავმოყრა და მუშათა კლასი მომზადდებოდა ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის.

მენშევიკებთან კავშირის გაგრძელება მუშათა კლასისა და მისი პარტიისადმი ღალატს უდრიდა, ამიტომ საჭირო იყო მათთან კავშირის ფორმალურ-ორგანიზაციულადაც გაწყვეტა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა აღდგენილიყო პროლეტარიატის რევოლუციური პარტია ერთიანი პროგრამით, ერთიანი ტაქტიკით და ერთიანი კლასობრივი ორგანიზაციით.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა საქმის მხოლოდ ერთ მხარეს შეადგენდა. ბოლშევიკების წინაშე იდგა მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. საჭირო იყო არა მარტო ის, რომ გაწყვეტილიყო კავშირი მენშევიკებთან და ჩამოყალიბებულიყო ცალკე პარტია, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ შექმნილიყო **ახალი** პარტია, **ახალი** ტიპის პარტია, დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებული, ყოველგვარი ოპორტუნიზმისაგან თავისუფალი ლენინური პარტია, რომელსაც ექნებოდა უნარი გასძღოლოდა პროლეტარიატსა და გლეხობას მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინი და სტალინი რევოლუციური მოძრაობის დაცემისა და სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში ამზადებდნენ და სჭედდნენ ასეთ პარტიას პროლეტარული რევოლუციის ყველა ჯურის მტრებთან შეურიგებელ, პრინციპულ ბრძოლაში.

რეაქციის წლებში ბოლშევიკები ტაქტიკას იცვლიან და ცარიზმთან აშკარა ბრძოლიდან გადადიან არალეგალურ მუშაობაზე — ყოველგვარ ლეგალურ საშუალებათა აუცილებელი გამოყენებით — დამზღვევი სალაროებიდან თვით სათათბიროს ტრიბუნამდე. ამ პერიოდში ბოლშევიკები მოთმინებით და შეუპოვრობით იკრებენ ძალებს, განამტკიცებენ კავშირს მასებთან, ამზადებენ მათ ახალი რევოლუციური გამოსვლებისათვის.

ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით კონფერენციის წინახანებში ეწევიან დიდ მუშაობას პარტიის რევოლუციური ძალების შემჭიდროებისა და დარაზმვისათვის. ჯერ კიდევ 1910 წელს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ № 11-ში მოთავსებულ სტატიაში ამხანაგმა სტალინმა გადაჭრით დაუჭირა მხარი ლენინს და ლენინურ იდეას პარტიისათვის ბრძოლაში. ამხანაგმა სტალინმა პარტიის მორიგ ამოცანებად წამოაყენა საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევა, ლეგალური პარტიული გაზეთის გამოცემა, რუსეთში არალეგალური პრაქტიკული პარტიული ცენტრის დაარსება. ამხანაგ სტალინის ეს წინადადებანი შემდეგში საფუძვლად დაედო პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

1911 წლის 1 ნოემბერს ლენინი წერილით მიმართავს ჩეხთა სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ წარმომადგენელს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. ამ წერილში ლენინი ითხოვს დახმარებას პრაღაში პარტიული კონფერენციის მოწყობისა და ჩატარებისათვის. ჩეხი რევოლუციონერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის — ლენინის ამ მოწოდებას და დიდი მატერიალური და ტექნიკურ-ორგანიზაციული დახმარება გაუწიეს ბოლშევიკებს კონფერენციის უაღრესად კონსპირაციულად მოწყობასა და ჩატარებაში.

რუსეთის ბოლშევიკებისადმი ჩეხ რევოლუციონერთა სოლიდარობის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდით ნათლად ჩანს, რომ მთელი მსოფლიოს მუშები ჯერ კიდევ მაშინ, 40 წლის წინათ, რუსეთის პროლეტარიატისა და მისი ბოლშევიკური პარტიის რევოლუციურ საქმეს თავიანთ ღვიძლ საქმედ თვლიდნენ. რუსეთის რევოლუციის ბედში ისინი ჯერ კიდევ მაშინ ხედავდნენ თავიანთი ქვეყნების რევოლუციის ბედს და მზად იყვნენ ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი რუსეთის რევოლუციის განვითარებისათვის.

სრულიად რუსეთის VI პარტიულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი პარტიული ორგანიზაცია. ამიტომ მას ფორმალურად პარტიის ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა.

კონფერენციის მთელ მუშაობას ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. იგი იყო მომხსენებელი ძირითად საკითხებზე, თავმჯდომარეობდა სხდომებს, წერდა რეზოლუციებს დღის წესრიგის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამხანაგი სტალინი მაშინ გადასახლებაში იმყოფებოდა.

თავის გადაწყვეტილებებში კონფერენციამ აღნიშნა რუსეთში მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის პირველი ნიშნები და პარტიულ-რევოლუციური მუშაობის გამოცოცხლება.

კონფერენციამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება IV სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის კანდიდატების წამოყენების შესახებ, იმ მიზნით, რომ შექმნილიყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სათათბიროში.

უმნიშვნელოვანეს მორიგ პოლიტიკურ ლოზუნგად კონფერენციამ წამოაყენა პროგრამა-მინიმუმი: დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაცია. ამ ლოზუნგებით მონაწილეობდნენ ბოლშევიკები IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და ხელმძღვანელობდნენ ახალ რევოლუციურ აღმავლობას 1912-1914 წლებში.

კონფერენციის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო პარტიიდან მენშევიკების განდევნა. პრაღის კონფერენციამ, განდევნა რა მენშევიკები პარტიიდან, გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა.

კონფერენციამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, სვერდლოვი, სპანდარიანი და სხვები. ი. სტალინი და ი. სვერდლოვი, რომლებიც იმ დროს გადასახლებაში იმყოფებოდნენ, დაუსწრებლად აირჩიეს.

რუსეთში რევოლუციური მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად კონფერენციამ შექმნა პრაქტიკული ცენტრი (ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო) ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამ ცენტრის შემადგენლობაში შევიდნენ სვერდლოვი, სპანდარიანი, ორჯონიკიძე და კალინინი.

კონფერენციამ მიიღო და გადაწყვეტილება გაზეთ „პრავდის“ გამოცემის შესახებ.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ვ. ი. ლენინის დავალებით ამხანაგი ს. ორჯონიკიძე გაემგზავრა სტალინთან ვოლოგდაში და გააცნო მას პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებანი. 1912 წლის თებერვალში ამხანაგი სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან და ენერგიული რევოლუციური მუშაობა გააჩაღა. ამხანაგმა სტალინმა ცენტრალური კომიტეტის დავალებით შემოიარა რუსეთის თითქმის ყველა უმ

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დაუდევრად შედგენილი სახელმძღვანელო

ჩვენი გეოგრაფ-მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ხანია ელიან საქართველოს გეოგრაფიის სრულფასოვან სახელმძღვანელოს. მათ ამის საფუძველი აქვთ. საქართველოში გეოგრაფიის კარგი სახელმძღვანელოს შედგენისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი: გამოიზარდნენ გეოგრაფიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არსებობს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შექმნის ერთგვარი გამოცდილება და სხვ. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ბევრი დეფექტი აქვს საქართველოს სსრ გეოგრაფიის* სახელმძღვანელოს, რომელიც ჩვენს სკოლებში ისწავლება.

საქართველოს სსრ გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი სწორად ვერ ასახავს ჩვენი რესპუბლიკის ბუნებას, სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს.

სახელმძღვანელოში ციფრობრივი მონაცემები არასწორად წარმოგვიდგენენ ნამდვილ მდგომარეობას. სახელმძღვანელოში ჭარბად შეხვდებით ერთ და იმავე საკითხზე სრულიად საწინააღმდეგო განმარტებებს, ენობრივ ლაფსუსებს, შეუსაბამობებს. ხშირად სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან მოყვანილი ციტატები დამახინჯებულია. ცუდად არის შედგენილი რუკები და სურათები.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

სახელმძღვანელოში მუდმივად ხვევას სიმაღლედ აღნიშნულია 2.810 მეტრი (გვერდი 26), თანდართულ № 1 რუკაზე კი — 2.156 მეტრი. ძლინარე ციორი, რომელიც ალაზნის მარჯვენა შენაკადია, № 3 რუკაზე აღნიშნულია როგორც მტკვრის მარცხენა შენაკადი.

წიგნის 107-ე გვერდზე აფხაზები გამოცხადებული არიან არაქართველ ეროვნებად. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტების რაოდენობა 108-ე გვერდზე განსაზღვრულია 28-ით, ხოლო 121-ე გვერდზე — 27-ით. სარეცენზიო წიგნის 131-ე და 133-ე გვერდებზე მძიმე მრეწველობა და მსხვილი მრეწველობა ერთ და იმავე ცნებებად არის მიჩნეული.

სახელმძღვანელოს 164-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ კოლხეთის ჭაობის ფართობი შეადგენს 220.000 ჰექტარს, აქედან ამოშრობილია 80 ათასი ჰექტარი, ანუ 36,3 პროცენტი. ამ მონაცემებს აშკარად ეწინააღმდეგება ამავე სახელმძღვანელოს 30-ე გვერდზე აღნიშნული ცნობა: კოლხეთის ჭაობების უმეტესი ნაწილი (ე. ი. 50 პროცენტზე მეტი. გ. კ.) ამჟამად უკვე დაშრობილია და სხვ.

სახელმძღვანელოს ავტორებისა და რედაქტორების დაუდევრობა უფრო მეტად მეღავნდება ამ სახელმძღვანელოს რუსულ გამოცემაში. სახელმძღვანელოს რუსული და ქართული გამოცემების მრავალი განმარტება და ციფრობრივი მონაცემი სრულებით არ შეესაბამება ერთმანეთს, ზოგჯერ კი აშკარა გაუგებრობასთანაც გვაქვს საქმე.

ქართულ ტექსტში ვკითხულობთ: „ტყეებსა და ბუჩქნარს უკავია საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 37 პროცენტი". (გვ. 98.) რუსულში კი აღნიშნულია — „დაახლოებით 37,4 პროცენტი".

ქართული გამოცემა გვაუწყებს: „საქართველოს მდინარეების საერთო სიმძლავრე... ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას **მოგვცემს**" (გვ. 135). რუსულში კი წერია: „საქართველოს მდინარეების საერთო სიმძლავრე... ყოველწლიურად **გვაძლევს** 100 მილიარდზე მეტ კილოვატსაათს ელექტროენერგიას".

ქართულ გამოცემაში წერია: „ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას წლიურად ასეული ათასობით ტონა კოქსვადი ქვანახშირი დასჭირდება" (გვ. 138). რუსულში ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირებულია. სინამდვილეში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას წელიწადში დასჭირდება არა 100 ათასი ტონა ქვანახშირი, არამედ რამდენიმე მილიონი ტონა.

ქართულ გამოცემაში 164-ე გვერდზე ვკითხულობთ: საქართველოში „მარტო ჩაისათვის **გამოსადეგი** ფართობი 90 ათას ჰექტარს შეადგენს." რუსულ გამოცემაში კი წერია: „Площадь, непригодная под чай, составляет 90 тыс. гектаров."

ქართულ გამოცემის 168-ე გვერდზე მკითხველი ნახავს ასეთ ცნობას: „1957 წლისათვის 1950 წელთან შედარებით მარცვლეული ნათესების საერთო ფართობი 70,6 პროცენტით უნდა გადიდდეს". რუსულში კი ნაჩვენებია 70 პროცენტი.

საქართველოს სსრ გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ქართულ და რუსულ გამოცემებში დაშვებული შეცდომებისა და გაუგებრობების ყველა მაგალითის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. ქართულ გამოცემაში არის ისეთი ადგილები, რომლებიც რუსულ გამოცემაში სრულებით არ არის და პირიქით. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში ბევრია კორექტურული შეცდომები, რაც სახელმძღვანელოს უფრო უკარგავს ღირებულებას.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ავტორები და რედაქტორები სათანადო პასუხისმგებლობით არ მოპყრობიან დაკისრებულ მოვალეობას.

ასე დაუდევრად, სანქციის უსიყვარულოდ შედგენილი სახელმძღვანელო გადამუშავების გარეშე, ცხადია, ჯერჯერობით ვერ გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას.

გ. კვირიკაძე
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი

* საქართველოს სსრ გეოგრაფია, სახელგამი, 1951 წ. მეოთხე გამოცემა (ავტორები: ალ. ჯავახიშვილი, გ. გეხტმანი, ი. შაქარაშვილი, ლ. კარბელაშვილი, რედაქტორები: პროფ. ალ. ჯავახიშვილი და ი. ჯიბლაძე.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„426.560 მანეთი დაიხარჯა, ქარხანა პროდუქციას არ იძლევა"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის გასული წლის 16 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა საკუთარი კორესპონდენტის წერილი, რომელიც შეეხებოდა საჩხერის კირის ქარხანას.

როგორც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. გორდეზიანი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სამინისტრომ მიიღო საჭირო ღონისძიებანი ქარხნის აგებისას დაშვებული ტექნიკური დეფექტების აღმოფხვრისა და ქარხნის მთელი საპროექტო წარმადობით უახლოეს ხანში ამუშავებისათვის.

ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკის პროგრამა როგორც ახალი ომის მომზადების პროგრამა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

პარიზი, 12 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პლენუმის დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენების გამო პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებული 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი. როგორც ცნობილია, ეს პროექტი მკვეთრად განსხვავდება მისი პირვანდელი ვარიანტისაგან, რომელიც პოლიტიკურ კომიტეტს წარუდგინეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა 10 ქვეყნის დელეგაციებმა. მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკის პროგრამა მიიჩნიეს ამერიკის შეერთებული შტატების ცდად — სხვა სახელმწიფოები ჩაეთრიათ ისეთი სამხედრო ავანტიურების განხორციელებაში, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკის შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში. ამ მიზნის განსახორციელებლად 11 ქვეყნის რეზოლუცია ითვალისწინებს — ფუნქციები უშიშროების საბჭოსი, რომელსაც აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, გადაეცეს გენერალურ ასამბლეას და სხვა ორგანოებს, საღაც არ მოქმედებს ერთხმიანობის პრინციპი და საღაც გადაწყვეტილებას იღებენ უბრალო ხმის უმრავლესობით, რის იმედიც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ.

იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც ბრმად უმერენ მხარს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, არ მოისურვეს კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის მოხსენების მოწონება. მათ ამ პროექტში შეიტანეს ისეთი შესწორებანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ მათ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა მოსაზრებით თავიანთი შეხედულებისამებრ თქვან უარი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიურ ღონისძიებათა" ალმით ამერიკის აგრესიულ აქციებში მონაწილეობაზე. ამ შესწორებათა მიღება და 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტში მათი შეტანა ნიშნავდა ამერიკის წამოწყების ჩაშლას. რა თქმა უნდა, შეკვეცილი სახითაც ეს რეზოლუცია წარმოადგენს ახალი ომის მომზადების პროგრამას. ოპოზიცია, რასაც ეს პროგრამა მნიშვნელოვანი რაოდენობის სახელმწიფოთა მხრივ შეხვდა, ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟის დაცემას და ამ სახელმწიფოებზე მათი გავლენის შესუსტებას.

ახალი ომის გაჩაღების პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის" მოხსენებასა და 11 ქვეყნის რეზოლუციაში, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ დაუპირდაპირა თავისი წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება და დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევის საფუძველზე საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის აღმოფხვრა. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა გაუქმებულიყო „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტი" და რჩევა მისცემოდა უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოეწვია პერიოდული სხდომა არსებული საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრისა და კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე დამთავრების ღონისძიებათა მისაღებად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და აგრესიული ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების დელეგაციების ზეგავლენით ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ძლიერ შეკვეცილი სახით. ამ ქვეყნების დელეგაციებმა, რომლებმაც უარი თქვეს მოეწონებინათ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის მოხსენება, ვერ გაბედეს წასულიყვნენ წინ და, რაკი „ანი" თქვეს, „ბანიც" ეთქვათ. ამიტომ წინადადება აღნიშნული კომიტეტის გაუქმების შესახებ უარყოფილ იქნა. მიღებულ იქნა ეგრეთვე ამერიკის შესწორება, რომელიც უარყოფს წინადადებას, რომ უშიშროების საბჭოს პერიოდული სხდომა მოწვეული ყოფილიყო **დაუყოვნებლივ** და რომ მას განეხილა კორეაში დაზავების ხელშეწყობის საკითხი. ამრიგად, საბჭოთა რეზოლუციისაგან დარჩა წინადადება—მოწვეულ იქნას, „როცა ეს მიზანშეწონილი იქნება", უშიშროების საბჭოს პერიოდული სხდომა საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრის ღონისძიებათა განსახილველად. ეს წინადადება პოლიტიკურ კომიტეტში მიღებულ იქნა ხმის დიდი უმრავლესობით და აგრეთვე განსახილველად წარედგინა გენერალური ასამბლეის პლენუმს.

გამოვიდნენ რა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის მოტივებზე, იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან ამერიკის დიქტატს, ცდილობდნენ შეემცირებინათ იმ ოპოზიციის ძალა და მასშტაბი, რასაც პოლიტიკურ კომიტეტში წააწყდა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკის პროგრამა. მაგალითად, ბრაზილიის დელეგატი მუნნმა, რომელიც „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ამაოდ ცდილობდა საქმე ისე წარმოეგინა, თითქოს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი არ ყოფილა შესუსტებული და გაუფერულებული იქ შეტანილი შესწორებებით. მაგრამ მან აქვე გააბათილა თავისი ნათქვამი, როცა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ეს შესწორებანი მიღებულ იქნა, რეზოლუციის პროექტი შეიცავს მხოლოდ „ზოგად აზრებს" და არ შეიცავს „კონკრეტულ ღონისძიებებს", რათა სახელმწიფონი ვალდებულნი იყვნენ განახორციელონ „კოლექტიური ღონისძიებანი".

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კოენი ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატების მეტად შელახული პრესტიჟი გადაერჩინა მტკიცებით, თითქოს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი თავისი შეცვლილი სახითაც „კოლექტიურ ღონისძიებათა" განხორციელების საქმეში წარმოადგენს იმ „კონსტრუქტიულ წვლილს", რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფოდნენ.

თავის გამოსვლაში კოენი კვლავ მოუწოდებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დელეგაციებს უნივერსალური გიგანტათ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებული სისტემა ეგრეთწოდებული „კოლექტიური ღონისძიებისა", მონაწილეობა მიეღოთ მის განხორციელებაში.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა იქვე მიიღო ბევრი დელეგაციის, მათ შორის იმ დელეგაციების უარყოფითი პასუხი, რომლებმაც ხმა მისცეს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს. იემენის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი 11 ქვეყნის რეზოლუციას მხარს უჭერს მხოლოდ იმიტომ, რომ მას დართული აქვს პუნქტი, რომელიც სავალდებულოს არ ხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობას ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში". ჩვენი შეიარაღებული ძალები, თქვა მან, გვესაჭიროება საშინაო უშიშროების უზრუნველსაყოფად, ამიტომ ჩვენ თავი შევიკავეთ რეზოლუციის იმ პუნქტისათვის კენჭისყრაში, რომელიც წინადადებას იძლევა გამოყოფილ იქნას სამხედრო ნაწილები „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განკარგულებაში".

ასეთივე ხასიათისა იყო მექსიკის პასუხი. მექსიკის დელეგატმა განაცხადა, რომ მექსიკა ამერიკის რეგიონალური ორგანიზაციის მონაწილეა და პირველ რიგისად მიაჩნია აქედან გამომდინარე ვალდებულებანი. ამიტომ, თქვა მან, ჩვენ 11 ქვეყნის რეზოლუციას არ განვიხილავთ, როგორც ისეთ დოკუმენტს, რომელსაც შეეძლოს დაგვკისროს ახალი, თუნდაც მორალური ხასიათის ვალდებულებანი.

სარიის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში ითხოვა სპეციალურად ჩაეწერათ ოქმში, რომ 11 ქვეყნის რეზოლუციისათვის სირიის დელეგაციის მიერ ხმის მიცემას იგი არ განიხილავს როგორც ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს 11 ქვეყნის რეზოლუციით გათვალისწინებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში".

ამერიკის შეერთებული შტატების ცდას კიდევ უფრო მტკიცე უარით უპასუხა ინდოეთის წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ 11 ქვეყნის რეზოლუციით შემოთავაზებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" სისტემაში ხაზგასმით არის აღნიშნული სამხედრო სანქციების გამოსაყენებლად აპარატის შექმნის აუცილებლობა, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი მიზანია სახელმწიფოთა თანამშრომლობის განმტკიცება კეთილი ნების სულისკვეთებით. თუ, თქვა მან, გენერალური ასამბლეა რჩევას მისცემს ამ რეზოლუციის საფუძველზე, ზოგიერთ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს იგი შესასრულებლად, ხოლო ზოგიერთს შეუძლია უარი თქვას. მაგრამ ეს გამოიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გათიშვის გაძლიერებას, რასაც ახალი ომი მოჰყვება. ამიტომ, განაცხადა მან, ინდოეთის დელეგაცია ხმას არ მისცემს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

ეს ფიქრი ინტერესი გამოიწვია ბოლივიის წარმომადგენლის გამოსვლამ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ქვეყნის მთავრობა მუდამ კვალდაკვალ მიჰყვებოდა ამერიკის ბანაკის სხვა ქვეყნების მთავრობებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ყველა ამ ღონისძიებათა მხარდაჭერაში, რომლებიც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. მაგრამ ამ მთავრობამაც ვერ დიენახა შესაძლებელად მოეწონებინა 11 ქვეყნის რეზოლუციის ძირითადი პუნქტები. თავისი პოზიციის დასასაბუთებლად ბოლივიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანა ისწავლა მსოფლიო „ზოგიერთი სახელმწიფოს" მიერ მსოფლიო ჰეგემონიის პრეტენზიისაგან. არ შეიძლება, თქვა მან, მოეთხოვოს ეკონომიურად სუსტ, თუმცა პოტენციურად მნიშვნელოვანი რესურსების მქონე სახელმწიფოებს მონაწილეობა მიიღონ 11 ქვეყნის რეზოლუციით შემოთავაზებულ ღონისძიებებში და ამავე დროს მიღებულ არ იქნას არაევროპული ღონისძიება „ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ" ამ ქვეყნების ეკონომიური ჩახშობის წინააღმდეგ. ბოლივიის დელეგატმა თქვა, რომ მას მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბოლივიას თავს აბეზეურ კალის უსამართლო ფასებს, ხოლო კალა ბოლივიის ეროვნული ეკონომიკის საფუძველია. ბოლივიას, განაცხადა მან, აზარალებენ კალის ამერიკელი მყიდველები. ამას მძიმე გავლენა აქვს მის ეროვნულ ეკონომიკაზე. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებიც, საჭიროა, განაცხადა მან, რომ წესდების პრინციპების გაგებას, ბოლოს და ბოლოს, უპირატესობა ჰქონდეს ამ დიდი სახელმწიფოს კომერციულ ინტერესებთან შედარებით.

ამ გამოსვლების მიხედვით 11 ქვეყნის რეზოლუციის ზოგიერთი თავგამოდებული მომხრის, როგორიც არიან საფრანგეთის, ჰაიტისა და ფილიპინების წარმომადგენლები, სიტყვები ისე გაისმა, როგორც უბადრუკი ტირილი.

მშვიდობის საქმისათვის ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ამერიკის სისტემის დამღუპველობა და საფრთხე დამაჯერებლად ცხადყვეს თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგატებმა.

ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის საქმიანობის განგრძობას თქვა პოლონეთის წარმომადგენელმა, შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს მშვიდობის საქმეს, რადგან ეს „კოლექტიური ღონისძიებანი" წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების ცდას—უკანონოდ იხმარონ ფარად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელი და ალმი და განახორციელონ ახალი აგრესია.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა განაცხადა, რომ 11 ქვეყნის რეზოლუციის მიზანია უშიშროებას საბჭოს უფლებამოსილებანი გადასცეს გენერალურ ასამბლეას, რათა ამრიგად შეერთებულ შტატებს გაუადვილოს ახალი სამხედრო ავანტიურების განხორციელება. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ხმას მისცემს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

11 ქვეყნის რეზოლუციის მთელი შინაარსი, თავიდან ბოლომდე, განაცხადა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. მ. ბარანოვსკიმ, სხვა არა არის რა, თუ არა ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების გამარჯება. იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ აგრესიულ სახელმწიფოებს უკარნახოს ისეთი ხერხები და საშუალებანი, რომლებიც მათ უნდა გამოიყენონ ომში, რასაც ატლანტიკის ბლოკი ამზადებს. ამიტომ უკრაინის დელეგაცია ხმას მისცემს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

შემდეგ ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ პოლიტიკურ კომიტეტში შეიტანა, რადგან ეს წინადადებანი ითვალისწინებენ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის გაუქმებას და რჩევას იძლევიან უშიშროების საბჭოს პერიოდულ სხდომაზე **დაუყოვნებლივ** განხილულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრისა და კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი. თუმცა, დასძინა ბარანოვსკიმ, ამერიკის შესწორებებმა ეს წინადადებანი მნიშვნელოვნად შესუსტეს, მაგრამ ეს წინადადებანი თავიანთი შეკვეცილი სახითაც შეიძლება გამოყენებულ იქნან მშვიდობის ინტერესებისათვის, რადგან ისინი „დასტურებენ იმ პრინციპს, რომ სწორედ უშიშროების საბჭოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, და ითვალისწინებენ უშიშროების საბჭოს პერიოდული სხდომის მოწვევას საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრის ღონისძიებათა განსახილველად.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა აღნიშნა, რომ 11 ქვეყნის რეზოლუცია წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას. მის მიერ შემოთავაზებულ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" სისტემას საერთო არა აქვს რა ნამდვილი კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის იმ სისტემასთან, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს და რომელიც მთავარ პასუხისმგებლობას მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის უშიშროების საბჭოს აკისრებს. 11 ქვეყნის რეზოლუციის მიზანია დააკანონოს ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით 11 დელეგაციის რეზოლუციის პროექტი. იგი ემყარებოდა იმას, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, რომელიც შემოწმებული იყო ამ პროექტის თვითეული პუნქტის ძალიან გულდასმითი ანალიზით, რაც დადასტურებულია მრავალი ფაქტით, რომლებიც საბჭოთა დელეგაციას მოეპოვება, ეს რეზოლუცია არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს, მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც მის წესდებაშია ჩამოყალიბებული.

პირველ კომიტეტში ამ რეზოლუციის პროექტის დაწერილებითი ანალიზის დროს ჩვენ შეეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ, თუმცა ამ რეზოლუციაში არის წესდების მრავალი დამოწმება, ხოლო მის პრეამბულაში გულმოდგინედ ციტირებულია წესდების ის ცალკეული დებულებანი, რომლებიც მიძღვნილია ეფექტიან კოლექტიურ ღონისძიებათა, მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, აგრესიის აქტების ჩახშობისა და ამ საფრთხის აღმოფხვრის საკითხისადმი, მიუხედავად ამისა ამ რეზოლუციაში მოყვანილი ღონისძიებანი სინამდვილეში ოდნავაც არ ისახავენ მიზნად არც მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის აღმოფხვრას, არც მშვიდობის განმტკიცებას, არამედ ემსახურებიან პირდაპირ საწინააღმდეგო მიზნებს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას არ შეეძლო მხარი დაეჭირა და არც დაუჭერს მხარს ასეთ რეზოლუციას, რომელიც მშვიდობის დაცვისა და აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ნიღბით, სინამდვილეში აყალიბებს ახალი ომის მომზადების ხელისშეწყობის პროგრამას.

ეს ღონისძიებანი, თუმცა მათ ეწოდება „კოლექტიური ღონისძიებანი" და იმოწმებენ მშვიდობის დაცვის მაღალ და კეთილშობილურ მიზნებს, სინამდვილეში ეწინააღმდეგება ხალხთა ინტერესებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

განა ეს ცხადი არ იყო დღეს, მაგალითად, ბოლივიის დელეგატის სიტყვიდან, რომელმაც გადაწყვიტა ამ ტრიბუნიდან განეცხადებინა იმ სიძნელეებზე, რასაც განიცდის, როგორც თან თქვა, ბოლივიის კალის ამერიკელ მყიდველთა კლანებში მოხვედრილი, ჩვენ კი ვიტყვით, ამერიკის მონოპოლიათა კლანებში მოხვედრილი, ბოლივია? განა ამას არ მოწმობს მისი ეს განცხადება, რომელსაც მან დასძინა, რომ ისეთსავე მდგომარეობაშია,—რაც მან გაბედა, მიუხედავად ამერიკის კაპიტალზე მთელი მისი დამოკიდებული მდგომარეობისა განეცხადებინა ამ ტრიბუნიდან,—არა მარტო ბოლივია, არამედ ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყანაც.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს, რომ იმას, რაც ბოლივიის წარმომადგენელმა თქვა ამ ნაწილში, დავძინო,—და არა მარტო „ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა", არამედ მსოფლიოს ყველა კუთხის ბევრი და ბევრი ქვეყანა, საღაც ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ეკონომიურ, პოლიტიკურ და, რაც მთავარია, სამხედრო ბატონობასა და გავლენას ავრცელებენ. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, თუ რას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კოლექტიური ღონისძიებანი", როცა ბოლივიის მსგავს ქვეყნებს და ლათინური ამერიკის მთელ რიგ სხვა ქვეყნებსაც კი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივ და განუხრელ მეთვალყურეობას უწევენ, საჭიროდ მიაჩნიათ აქ გაგვაფრთხილონ იმ საშიშროებაზე, რომელიც აიძულებს მათ თავი შეიკავონ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" შესახებ ამ რეზოლუციის ამა თუ იმ პუნქტის — და ყველაზე არსებითი პუნქტების—მხარდაჭერისაგან.

არ შემძლია არ აღვნიშნო, რომ საბოლოო სახით მიღებული და გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილი 11 დელეგაციის რეზოლუცია მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რასაც იგი წარმოადგენდა თავდაპირველი სახით.

„11-ის რეზოლუციის" პროექტის მიზანია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები შებოჭოს ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან მათს სუვერენულ უფლებებს, მათს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

რეზოლუციის თავდაპირველ პროექტში ეს ცდება, თუმცაღა ხელოვნური ფრაზეოლოგიით შენიღბული, მთელი რიგი დელეგაციების წინააღმდეგობას წააწყდა, რომელმაც წარმოადგინეს თავიანთი შესწორებანი, რაც მნიშვნელოვნად, მე ვიტყოდი, ძირფესვიანად ცვლიდა „11-ის რეზოლუციის" პროექტის აზრსა და სასიათს, პროექტისა, რომელიც მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის აშკარა ზეგავლენით.

სავსებით ცხადი იყო, რომ მთელი ეს რეზოლუცია განკუთვნილი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთ გამოეყენებინათ ატლანტიკის ბლოკში შემავალი ან მის ორბიტში მყოფი ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმების რაც შეიძლება წარმატებით განხორციელებისათვის. ეს იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ აიძულა ზოგიერთი დელეგაცია—მე მათ დავასახელებ: ეგვიპტის, ერაყის, ირანის, იემენის, ლიბანის, საუდის არაბეთის, სირიის, ავღანეთის დელეგაციები—მოეთხოვათ, რომ რეზოლუციის პროექტში შეეტანათ სპეციალური პუნქტი, უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც თავდაყირა აყენებდა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" მთელ ამ კონცეფციას. ეს პუნქტი მე-10 პუნქტის სახით დაუყოვნებლივ შეიტანეს „11-ის რეზოლუციაში" ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც პანიკურად დაიხიეს უკან თავიანთი ფრონტის მთელ ხაზზე ამ რეზოლუციის განხილვისას, უკან დაიხიეს იმ სახელმწიფოთა შეტევის გამო, რომლებმაც იგრძნეს თუ რა მდგომარეობაში ხვდებიან ამ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" ეს რეზოლუცია.

ამ მე-10 პუნქტში ნათქვამია:

„...ამ რეზოლუციაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული იმ აზრით, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში ნება დართულ იქნას რაიმე ღონისძიებანი, თუ არ იქნება ამ სახელმწიფოს თავისუფლად და გარკვევით გამოთქმული თანხმობა".

ეს მე-10 პუნქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა" თავის პროექტში წარმოადგინა ამერიკის დელეგაციამ, რომელიც, შენარჩუნებისათვის უშიშროების საბჭოს აკისრებს. 11 ქვეყნის რეზოლუციის მიზანია დააკანონოს ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით 11 დელეგაციის რეზოლუციის პროექტი. იგი ემყარებოდა იმას, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, რომელიც შემოწმებული იყო ამ პროექტის თვითეული პუნქტის ძალიან გულდასმითი ანალიზით, რაც დადასტურებულია მრავალი ფაქტით, რომელიც საბჭოთა დელეგაციას მოეპოვება, ეს რეზოლუცია არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს, მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც მის წესდებაშია ჩამოყალიბებული.

პირველ კომიტეტში ამ რეზოლუციის პროექტის დაწერილებითი ანალიზის დროს ჩვენ შეეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ, თუმცა ამ რეზოლუციაში არის წესდების მრავალი დამოწმება, ხოლო მის პრეამბულაში გულმოდგინედ ციტირებულია წესდების ის ცალკეული დებულებანი, რომლებიც მიძღვნილია ეფექტიან კოლექტიურ ღონისძიებათა, მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, აგრესიის აქტების ჩახშობისა და ამ საფრთხის აღმოფხვრის საკითხისადმი, მიუხედავად ამისა ამ რეზოლუციაში მოყვანილი ღონისძიებანი სინამდვილეში ოდნავაც არ ისახავენ მიზნად არც მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის აღმოფხვრას, არც მშვიდობის განმტკიცებას, არამედ ემსახურებიან პირდაპირ საწინააღმდეგო მიზნებს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას არ შეეძლო მხარი დაეჭირა და არც დაუჭერს მხარს ასეთ რეზოლუციას, რომელიც მშვიდობის დაცვისა და აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ნიღბით, სინამდვილეში აყალიბებს ახალი ომის მომზადების ხელისშეწყობის პროგრამას.

ეს ღონისძიებანი, თუმცა მათ ეწოდება „კოლექტიური ღონისძიებანი" და იმოწმებენ მშვიდობის დაცვის მაღალ და კეთილშობილურ მიზნებს, სინამდვილეში ეწინააღმდეგება ხალხთა ინტერესებს და სა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები ცდილობენ ხელი შეუშალონ ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ გენერალური ასამბლეის მიერ გადაწყვეტილებათა მიღებას

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადებისა „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დელეგაციამ, რომელიც ისწრაფვის გააადვილოს შეთანხმების მიღწევა მშვიდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და მიაღწიოს ამ პრობლემების შესახებ ქმედით გადაწყვეტილებათა მიღებას, თავის წინადადებათა ბირვანდელ პროექტში შეიტანა არსებითი ცვლილებანი მნიშვნელოვან საკითხებზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციას ამასთან მხედველობაში ჰქონდა აღმოეფხვრა ყველა დაბრკოლება, რომლებიც ხელს შეუშლიდა გენერალურ ასამბლეას მიეღო შეთანხმებული გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ეხებიან ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას და ამ ესოდენ გადაუდებელ ღონისძიებათა რეალიზაციისადმი კონტროლის დაწესებას.

დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი მხარდამჭერი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა პოზიციასთან დასაახლოებლად, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა წინადადება თავისი პირვანდელი სახით ატომური იარაღის აკრძალვას თვალისწინებდა მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს ამ აკრძალვისადმი კონტროლის სისტემა, სსრ კავშირის დელეგაციამ შეცვალა თავის წინადადებათა სათანადო ფორმულირება. მან თავის ახალ წინადადებებში აღნიშნა, რომ „ატომური იარაღის აკრძალვა და საერთაშორისო კონტროლი მოქმედებას დაიწყებს ერთდროულად“.

ასეთი დამატება, რომელიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო კონტროლის ერთდროულად ამოქმედებას, როგორც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა თავის 12 იანვრის სიტყვაში, გადაჭრით სპობს შეთანხმების დადებისათვის ამ დარგში არსებულ დაბრკოლებას.

აგრეთვე ცნობილია, რომ საბჭოთა წინადადება მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ წაიწყდა დასავლეთი სახელმწიფოების დელეგაციების წინააღმდეგობას, რომლებიც სრულიად უსაფუძვლო ამტკიცებდნენ, თითქოს საბჭოთა წინადადებას „დეკლარაციული“ ხასიათი აქვს. ამ საბაბსაც სპობს საბჭოთა წინადადებების ახალი ტექსტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს მიენიჭოს უფლება განახორციელოს ინსპექცია „უფლმივ საფუძველზე“ ისე, რომ უფლება არ ექნეს ჩაერიოს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. სსრ კავშირის დელეგაცია წინათაც არ მოითხოვდა, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ გადაწყვეტილებათა დაცვის შემოწმების მიზნით ინსპექცია განხორციელებულიყო ეპიზოდური შემოწმების სახით. მაგრამ იმისათვის, რომ ამაზე არავითარი ეჭვი არ დარჩენილიყო, სსრ კავშირის დელეგაციამ თავის ახალ წინადადებებში აღნიშნა, რომ ინსპექცია უნდა ხორციელდებოდეს მუდმივ საფუძველზე.

ამასთან ერთად საბჭოთა წინადადებები ეხებიან მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც გენერალურ ასამბლეას ჯერ არ განუხილავს. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოთა მიერ სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა გამოცხადდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან შეუთავსებლად. სსრ კავშირის დელეგაციამ აგრეთვე მოითხოვა განეხილათ მთელი რიგი ღონისძიებანი კორეაში საომარი მოქმედების შესაწყვეტად. საბჭოთა წინადადებების მერვე პუნქტი ითვალისწინებს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

საბჭოთა წინადადებებმა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფართო საზოგადოებრივ აზრზე, რომელმაც ისინი მიიჩნია იმ ღონისძიებათა ნამდვილ, რეალურ და კონკრეტულ პროგრამად, რომელთაც შეუძლიათ თავიდან აგვაცილონ ომი და ხალხებს მოაშორონ გამალებული შეიარაღების ტვირთი.

ფრანგული რეაქციული პრესაც კი, რომელმაც ბევრი რამ იღონა იმისათვის, რომ დახმარება გაეწია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების დელეგაციებისათვის, რათა ჩაეშალათ სსრ კავშირის წინადადებანი, რომლებიც შეეხებიან ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებასა და ეფექტანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ახალი წინადადებებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ამ საკითხებზე შეთანხმების გასაადვილებლად.

სწორედ ასე წერს დღეს გაზეთი „პოპიულერი“, რომელსაც, რა თქმა უნდა, არავინ არ დასწამებს რაიმე სიმპათიას საბჭოთა კავშირისადმი. „საერთო აზრით,—აცხადებს ეს გაზეთი,—საბჭოთა ახალი წინადადებანი წარმოადგენენ წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს“. ასეთსავე აზრს გამოთქვამს გაზეთი „ფრანტირერი“. „მნიშვნელოვანია ის ფაქტი,—წერს იგი,—რომ სსრ კავშირმა მიიღო ღონისძიებანი, რათა დაახლოებოდა დასავლეთელთა პოზიციას“. ბოლოს, „ფიგაროც“ კი, რომელსაც საფრანგეთში სამართლიანად ეძახიან ამერიკულ გაზეთს ფრანგულ ენაზე, აღიარებს ამ მიმართულებით სსრ კავშირის დელეგაციის მიერ გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას, რადგან იგი ააღვილებს ყველა დიდი სახელმწიფოსათვის ურთიერთმისაღებ საფუძველზე შეიარაღების შემცირებისა და ატომური ბომბის აკრძალვის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებას.

ამის უარყოფა ვერ შეძლეს ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებმაც, რომლებიც პოლიტიკური კომიტეტის დღეკანდელ დღის სხდომაზე გამოვიდნენ. ბრაზილიის დელეგაცია მუდამ ერთგულად ემსახურება თავის ამერიკელ ბატონებს, მაგრამ მის წარმომადგენელსაც კი არ შეეძლო არ აღენიშნა, როგორც მან თქვა, „გარკვეული პროგრესი“ ახალ საბჭოთა წინადადებებში. იგივე თქვეს საფრანგეთისა და ჰოლანდიის დელეგატებმა. მაგრამ ლოგიკის საწინააღმდეგოდ ისინი ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა წინადადებების სწორედ ის პუნქტები, რომლებიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებასა და კონტროლის შემოღებას და რომლებშიც სსრ კავშირის დელეგაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საერთო თანხმობის მიღწევის მიზნით, თითქოს არ უნდა განიხილონ გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე. საფრანგეთის დელეგატმა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ ეს საბჭოთა წინადადებანი (3, 4, 5, 6 და 7 პუნქტები) გადაეცეს განიარაღების კომისიას, რომელიც დაარსებულია გენერალური ასამბლეის 1952 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით.

ამ წინადადების ავტორებმა და დელეგატებმა, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს, ვერ შეძლეს ეეხსნათ, თუ რატომ არ უნდა განიხილონ გენერალურმა ასამბლეამ და მისმა პოლიტიკურმა კომიტეტმაც საბჭოთა კავშირის ესოდენ მნიშვნელოვანი წინადადებანი, როგორიც არის წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების შემცირებისა და ამ ღონისძიებებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ წინადადებათა ახალი ფორმულირება მათივე საკუთარი აღიარებით აადვილებს ამ საკითხებზე შეთანხმებული დადგენილებების გამოტანას. უაღრესად გულუბრყვილო ადამიანისთვისაც კი ცხადი უნდა იყოს, რომ სწორედ აქ არის ჩამარხული ძაღლის თავი. სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი წინადადებებით შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი შექმნა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების დელეგაციები მათს განხილვაზეც კი უარს ამბობენ. სავსებით ცხადია, რომ ამით მათ კვლავ უჭირვეს მთელ მსოფლიოს, **რომ არა სურთ** მიიღონ ასეთი გადაწყვეტილებანი, რომ მათი ნამდვილი მიზანი—ჩაშლა ყოველგვარი შეთანხმებისა, რომელიც საქმით მიმართულია ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისაკენ. სწორედ ამ მიზნით ისინი მოითხოვენ, რომ საბჭოთა წინადადებანი გადაეცეს განიარაღების კომისიას, რათა იქ დასაბარონ ისინი, როგორც წარსულში დასაბარეს ბევრი სხვა საბჭოთა წინადადება, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა.

დღეგანდელ სხდომაზე ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ გამოაჩაკარავეს თავიანთი მშვიდობისმოყვარეობის მოჩვენებითი, ყალბი ხასიათი, როცა გაიცინეს საბჭოთა წინადადებების სხვა პუნქტებისა და წინაღმდეგაც, რომლებიც ეხება იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების მონაწილეობა ატლანტიკის ბლოკში და სხვის ტერიტორიებზე ბაზების შექმნა გამოცხადდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან შეუთავსებლად, და რომლებიც სახავენ კორეაში ომის შეწყვეტისათვის ხელშმწყობ ღონისძიებებს და მოითხოვენ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

შეუძლებელია ამ ნათელ და გარკვეულ საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც ნაკარნახევია მშვიდობისადმი გულწრფელი მისწრაფებით, დაუპირდაპირდეს თუნდაც რაიმე, ოდნავ გონივრული არგუმენტი. ამიტომაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ დღეს პოლიტიკურ კომიტეტში ისპარეზზე გამოუშვა ყველზე ბორტი, პატარა და დიდი ცილისმწამებლები, რომლებიც გაბოროტებული ანტისაბჭოთა ცილისწამებით ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ ყურადღება ამ წინადადებებისათვის. სწორედ ისეთი სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, პაიტის წარმომადგენელთა სიტყვები ამ საკითხებზე. ისინი კვლავ გაუმასპინძლდნენ პოლიტიკურ კომიტეტს თავხედური და სულელური ანტისაბჭოთა ზღაპრებით, რასაც ამერიკელი აგრესორები ყოველთვის მიმართავენ, როცა სურთ სსრ კავშირის მხრივ მოჩვენებითი მუქარის შესახებ ყვირილით მიჩქმალონ, შენიღბონ მშვიდობის საქმისათვის მტრული აგრესიული ხასიათი ატლანტიკის ბლოკისა და ისეთი ღონისძიებებისა, როგორიც არის ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელის შექმნა სხვის ტერიტორიებზე.

დღეს პოლიტიკური კომიტეტისათვის, ყველა სტუმრისა და ყველა ჟურნალისტისათვის ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გადაწყვიტა რაღაც უნდა დაჯდეს ხელი შეუშალოს საბჭოთა წინადადებების თუნდაც განხილვას და რომ მან ამ აზრით უკვე მოახდინა გავლენა ყველა იმ ქვეყნის დელეგაციებზე, რომლებიც ასე თუ ისე დამოკიდებულნი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღეს უკვე სხდომის პირველი ნახევრის ბოლოს არ აღმოჩნდა კამათში მონაწილეობის მსურველი. ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების არც ერთი დელეგაცია არ ჩაწერილა არც დღეგანდელ ღამის სხდომაზე კამათში გამოსასვლელად. ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარე იძულებული გახდა გამოეცხადებინა, რომ დისკუსიის გაგრძელება გადატანილია 15 იანვარს.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 16 იანვრის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტის ყველა უბანზე სახალხო არმიის ნაწილებსა და მოწინააღმდეგეს შორის გრძელდებოდა სროლა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. სახალხო არმიის ნაწილებმა მძლავრი წინააღმდეგობითა და ორგანიზებული ცეცხლით შებოჭეს მტრის ნაწილების მოქმედება და მოსპეს მოწინააღმდეგის ერთი ასეული და ორი ტანკი.

ცენტრალური და დასავლეთის ფრონტების ცალკეულ უბნებზე წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და მზვერავი რაზმების შეტაკებანი.

გუშინ სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ოთხი თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ, ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევეს უშენდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას.

მნახველის აზრი კორეაში ამერიკის ჯარების შესახებ

კოპენჰაგენი, 16 იანვარი. (საკდესი). კოპენჰაგენში იმყოფება ამერიკელი მუსიკოსი ლერი ადლერი, რომელმაც გასული წლის დამლევს ინახულა კორეა, სადაც კონცერტები გამართა ამერიკელ ჯარისკაცთათვის.

გაზეთ „ბერლინგსკე აფტენავისის“ კორესპონდენტთან საუბარში ადლერმა აღნიშნა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე მალე დაიწყონ თავი კორეას.

ილაპარაკა რა სამხრეთ კორეაში ოკუპანტების მზეცობის შესახებ, ადლერმა განაცხადა: „საკმარისია მხოლოდ ექვი, რომ რომელიმე სოფელში პარტიზანია, რომ სოფელი სავსებით განადგურებულ იქნას. არავის არ ინდობენ“.

ინგლისელ იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება ეგვიპტეში

კაირო, 16 იანვარი. (საკდესი). გაზეთების „ალ-აჰრამისა“ და „ალ-მისრის“ ცნობით, 15 იანვარს ინგლისის ჯარების გაძლიერებულმა ქვეგანაყოფებმა მესამედ სცადეს დაეკავებინათ ტელ ელ-კებირი და სროლა აუტეხეს ქალაქს, სადაც დაანგრიეს რამდენიმე სახლი. ქალაქის მოსახლეობამ, პარტიზანებმა და პოლიციამ ინგლისის ჯარებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და აიძულეს ისინი უკან დაეხიან.

გაზეთ „ალ-აჰრამის“ კორესპონდენტი ზაგაზიგიდან იუწყება, რომ აბუ-ჰამადისა და ტელ ელ-კებირის რაიონში გადმოსხმულ იქნენ ინგლისელი პარაშუტისტები. კორესპონდენტი დასძენს, რომ მოსახლეობამ, პარტიზანებმა და პოლიციამ ალყა შემოარტყეს რაიონს, სადაც გადმოსხმულ იქნენ პარაშუტისტები და ტყვედ წამოიყვანეს 80 პარაშუტისტი იარაღიანად.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, რომ ინგლისის ჯარები 15 იანვარს გარსშემოერტყნენ ისმაილიას და მთლიანად მოსწყვიტეს იგი ეგვიპტის დანარჩენ ნაწილს, გადაკეტეს ფერეთი ქალაქ სუეცის შემაერთებელი გზა.

მოსკოველმა მონაფე ქალმა პირველი პრემია მიიღო ბავშვთა ნახატების კონკურსზე ღელში

**ბოგო